

თ ბ ა უ რ ე

საქოველ-კირალ ლიტერატურული და მხატვრობითი გაზეთი.

9 მარტს

გამოიცავა

№ 10

პირვენი გან

1886 წლის.

ფასი „თეატრი“-ს წლით სუთი (5) მანეთი, ნახუარ წლით სემი (3) მანეთი, სხვა გადით სელის მო-
წერა არ მიღება. ცილგმ ნომერი „თეატრი“-ს დარს სამი შეური. ხელის მოწერა მიიღება: თბილისში
„თეატრი“-ს დარს და ქუთასში მაღაზიაში. ჭილაძეების წევნის მაღაზიაში. გარეშე მცხოვრებთათვეს დღესი:
თბილის. ვნ რედაქციი „თეატრი“. არ მიღება.

ბოდიშ ვიხდით ჩენ ხელის მომწერ-
ლებთან, რომ ჩენი მხატვრის ბატ. ა. ბე-
რიძის აეადმი-ოთობის გამო, სურათის გამო-
ცემა დაგვიგვიანდა.

ხეოქმას. (უთუოდ მალე უსურ-ვაზი ძლიერ გაძვირდე
ბა—ამოდენა ოხერ თავებს რა წელი გაუძლებს მო-
საჭირობლად,—და გირჩევ, ჩემო მეგობარო, შენი წის-
კვილის ჭალაში უსურ-ვაზი აღარ გააკაფინო). დიალ,
ამოდენა სიბრძნემ ლამის შამპანსის ბოთლის სახუ-
რავივით თავის ჭალა ჭერსა ჰკრას, მაგრამ თავი რომ
ვერ აუხეთქია, ყელში ჩამოჰჭვენიათ და დაღიან ჩენ-
ნი ცრუ-ბრძენი ინდუსტრებივით გაბუებულნი და სუ-
ლელობის გამომაცენ თვალებს წარა-მარად აბრიალე-
ბენ. ცველა მათი ნაბიჯი და სიტყვა უთუოდ სიბრძ-
ნის ნალები, ანუ ნაკვესი უწდა იყოს. საბრალო ღა-
ტაკი ჭკუა გულ-საკლავად ეველრება: «ბატონი, რაც
არა მოგიბარებია რა, რასა მთხოვ? მს ხომ უდიარო-
ბა! და სხ. ამიტომაც სიბრძნის მაგიერ, სისულელე
და სასაცილობა გამოდის. ნამეტნავად ამ სენმა ღრმად
გაიდგა ფესვები მას აქედ, რაც, „ივერიაშ“ ისე გა-
იაფა სიბრძნე. რომ ეხლა ყველა დარეჯანს, რომელ-
საც დიაკვინიანთ მაიამ ძროხის ბეჭედ ასწავლა ანა-
ბანა და „უფალო“, ყაველ დღე შეუძლიან „ივე-
რიაში“ ამოიკითხოს ბუსტირა, ლარომფუკოსი და
სხვათა სიბრძნე, ეხლა აღარცა ჰსმენ, არცა სკამენ,
არღა სძინავთ და ყველა იმაზეა გადარეული, რომ
სანაკვეთ რამე სთქვას და ბუსტების და ალციატე-
ბის „ივერიიდამ“ ამოხეპებირებული აზრები უთავ-
ბოლოდ არახუნოს. ამას წინათ ერთს დარბაისელს
ოჯახში მომიხდა ყოფნა. ძნეინა მლისაბედი ტატშედ
მოკეცილი იჯდა, მუხლებზედ ხავერდის მუთაქა ედვა

შერილი გეგმობართან

ხომ იცი, მეგობარო, მე იმ ჯურის კაცი არა
ვარ, რომელსაც შეიძლება ვუწოდოთ ტეინის მწვა-
ლებელი. (ო, ამათი რიცხვი ეხლა ჩენში ერთობ დი-
დია და თითქმის მთელი ქართული ინტელიგენცია
თითქმას ამ ტეინის მწვალებელთაგან შესდგება! აქვე
დაეუმატებთ: ურიგო არ იქნებოდა, რომ პირუტ-
ყვთა სამფარველო საზოგადოების მიხედით დარსე-
ბულიყო ჩენში ტეინის მფარველი საზოგადოებაც. საიდამ გადმოგვედო ეს სენი (ლერითმა გაშოროს ჩე-
მო კარგო!) ამის გამოკველევას რომ ეხლა გამოუდ-
გეთ შორს წაგვიყანს; საკარია ვიკოდეთ, რომ ყვე-
ლას, ვისაც გოგრაში ნიავის მეტი არა უსისინებს-რა, საიდამლაც წარმოუდევნია, რომ თავში იმდენი სიბრ-
ძნე მოუგროვდა, რომ ლამის თავის ჭალა ჭერს მია-

და ქარვის კრიანოსან ჰმარულავდა. მის პირ-და-პირ იჯდა ერთი ვიღაც «მაიორშა» ნენე და ტბილად ბაა-სობდენ. ლაპარაკი ჩამოვარდა ერთ კონცერტზედ, რომელიც ერთი ახლად დაობლებული ოჯახის სასარ-გებლოდ იმპოტებოდა: — შენ ნუ მომიკვდე, გაუბრტ-ყელა ჰერი ვლისაბედმა, თუ მადლის ქმნა გინდა, ნუ აცდევინება ვინც მალე ჰშველის, ერთი ორად ჰშველისო, ამბობს ალუიატი! — და თავ-მოწონებით გადააგდო კისერი. — დიალაც, შენმა მჩერი! ჰეშმარიტი სულგრძელება მაშინ არის, როცა კაცი თვითონ იკ-ლებს, რომ სხვას ჰერწიოს, ამბობს მოორი! — მიარ-ტყა კნეინას მაიორშა ნენემ და უფრო მეტის თავ-მოწონებით გადააგდო იმანაც კისერი. მე ამის მნახ-ველს და მსმენელს თან მეცნებოდა და თან მეტი-რებოდა ამ დარბაისელ მანდილოსანთ ტაკი მასხარა-ბაზედ. „ივერიის“ სიბრძნემ წელიწადიც აღარ გაიყანა და ცალკე სტატიაში (იხ. „ივერია“ № 45) აუწყა თავის მკითხველებს ამ გაზეთმა ერთის თვის განმამავლობაში რამდენი რამ გაუკეთა ჩევნს საზოგა-დოებას. ჰეშმარიტად და გულზედ ხელ დადებით ვიტყეით, რომ ჯერ ამ გაზეთს არაფრი არა გაუკე-თებიარა იმის მეტი, რომ მისმა „ნაკვესმა“ და „და-მაკვირდიმ“ დაპატარა ჩევნში რაღაც სულელური ტაკი-მასხრობა და მაიმუნობა.

უკაცრავად, მეგობარო, ცოტა გრძელი სიტყვა მომიერდა. მე ტვინთა მწვალებელთ რიცხვში არ ურე-ვივრ, ეიმეორებ, ბრძნობას არა ეჩემობ და საანბა-ნო ჰეშმარიტებას უფრო ვეწყობი. მრთი ამ ჰეშმარი-ტებათაგანი ის არის, რომ რაც კაცი გონებით დაბ-ლა სდგას და თავის საკუთარი ცოტა აქეს, იმდენი უფრო მეტსა ჰბაძეს სხვას და ეს წაბაძეა მამიწო-ბავდე მიაღწევს ხშირად. ამ ლიტერატურული ფორ-მით წერა, რომელიც მე შენთან საბაასოდ ამოვირ-ჩიქ, თავ-და-პირველად ვიღამაც შემოილო ჩევნში და მოხერხებულადაც მოუკიდა. მიჰყენენ ეხლა „ივე-რიის“ ჯავლაგები და დაუწყეს უწყალოდ ჯიჯნა ამ საბრალო ფორმას. გახშირდა მეგობართან წერილები თბილისიდამ თეირანს, თბილისიდამ პეტერბურლს, პაატასთან, ლუარსაბთან და სხ. და სხ. მერწმუნე ეს წერილები არაფრით გაირჩეა იმ წერილებიდამ, რომ-ლებიც ასე თავდება ხოლმე:

«მა წიგნი ჭრელია, შენთვის მამიწერია.

ბულბულს მხარზედ გამოვაბი, შენთვის მოურთმევია! ცილი

მათ შორის მაინც პირველი ადგილი თბილისი-დამ თეირანს მოგზაურს, ბ. მოლა ბაშირს უნდა მოუ-საჯოთ, თუმცა ეს რიგიანი გამომკელელი ჩევნის ქვე-

ლის იურიდიულის ნაშთებისა მეტად უცხოულესოფერების წყლიანი რამ გამოდგა ამ ახალს სფერაში. მისი მცე-ლი გზიდამ გადახვევა ჩევნ სამწუხარო მოვლენად მიგ-ვაჩინია ლიტერატურაში. ახალს ფსევდონიმს ამოუ-ლებული ბ. მოლა ბაშირი ჰევიანი კაცია და, — ჩევნ გვაკეირებს — იმას როგორ არ უნდა ესმოდეს, რომ იმ უხილავ ძალს, რომელსაც ბუნებას ეძახიან, უც-ლასთვის თავისი ადგილი მიუსაჯავს და ამიტომ, ესთქვათ, კაველინს სულ ტყავიდამაც რომ ამომძრა-ლიყო არამც თუ შეცდინობა, ბურენინობაც არ შეეძლო აქაც კი შეეძლო მოლა ბაშირს თავისებუ-რება დაეცა, მაგრამ უფხობასთან და უკანონობასთან ის კიდეც დამქაშობს და ტაკი მა' ხარობს «ივერიის» ბობოლის მოსაწონად. ამ ახალი მეჩითის თავიდამ ნამდვილი მოლა გრვინავს და წეველა-კრულებს უთვ-ლის მართლ-მორწმუნეთა ლიტერატურული უზრდე-ლობისათვის. მეჩითის ძირს ამოსტუზვია ეს თეირა-ნელი დავრიში, ჩევნი მოლა ბაშირა, და უთავ-ბო-ლოდ ჰალა, ჰალა! — გაიძახის. „ივერიის“ შეის ულ-ისლამი უქადაგებს თვის მორწმუნეთ, რომ მათი ვა-ლია რაიმე წამალი გამონახონ მისი ლიტერატურუ-ლი მტრების აღმოცხვერისათვის, და ეს უბრალო ყაზი, მოლა-ბაშირი, ძირიდამ შესძახის, რომ მათი აღმაშ-ფოთებელი ლიტერატურული მიმართულება «ძირია-ნად უნდა ამოვარდეს, ვითარცა ლვარძლი» (იხ. „ივე-რიის“ ფელტონი მე 43 №-ში). შეის-ულ-ისლამი ზე-ვიდამ აიმელოვნებს თავის მრევლს, რომ ბაშიბუზუყე-ბის შემისევა ჩევნს ლიტერატურაში დროებითი უბე-დურება და მაგისთანა მჯღაბნელებს „ჩაილულის წყლიდამ არაფერი იხსნისო“, მისი ტაკი მასხარი ყა-ზი მოლა ბაშირი ძირიდამ შესძახის, რომ „ესენი“ ჩევნს ლიტერატურაში ფეხს ვერ მოიკიდებენო და თავის თავად გაქრებან... ხახა დალებულნი მსმე-ნელნი ამდენ სისულელეს უურს უგდებენ და ჰალა, ჰალას გაიძახიან. მათში აღარ მოიპოვება ერთი გაბე-დული მოლა-ნასრელნი, რომ გამოვიდეს და ამ ჯამბაზს და მის ტაკი მასხარას ჟოხერას: ბატონებო, იქ არტა-ლა და ყაბლუ-ფლავი გიცივდებათ, თქვენ აქ რაღაც სისულელეზედ ჰლაპარაკობთ. თუ თქვენი მტერი ჭია-ნი ეაშლის მეტი არაფერია, მაშ დაცათ, ნიავი თი-თომ გააგდებინებს. თქვენ ან თავს არაზედ იწუხებთ, ან ამ საწყალ ხალხს გულს რისთვის უხეთქავთ? თან ამბობთ, თვით ანტი ქრისტე ქვეყნად მოსულაო, თა-ნაც ატანთ, რომ ანტი ქრისტე კი არა ერთი ჭიანი ეაშლიაო!..

დიალ, ჩემო მეგობარო, სინიდისი სული!, იარა-ლი და მაშვენებელია, ლოგიკა კუუისა. (ამ აფორიზმის „დამაკვირდიში“ ჩაწერა კანონ მდებლობის 0000003

მუხლით აღკრძალულია!) ერთს და იმავე დროს სა-
ზინდანიც აჩის და საცოდავიც ვაცი, როდესაც ამ
ორივე უშალლეს ნიჭი მოკლებულია. ამ შიშირით ივ-
ზა დაცემული ცრუპენტელა გმირების ბაქიაობა და
ტუფილი ყოფილი არტისტების გაფონებს, სა-
დაც ჩვენი ნიჭიერი არტისტები საუაროვისა ის ხელოვ-
ნურად ჰატავს ცალკე ოთახში მომწევდებულს ახალ-
გაზრდა ქალს, რომელსაც ფანჯრიდამ ყაჩალები უც-
ვივან. შიშით ლამის თვალები წამოსცვივდეს, სული
ფრჩხილებში გაეპაროს, ყელი ისე შეუხუთავს, რომ
ძლიერ-ლა ლაპარაკობს, მაგრამ მაინც არა სტუდება
და უნებურად ამბობს: «არ მეშინან! სრულებითაც
არ მეშინან! დმერთმანი, არ მეშინან!.. ნამდვილად
კი ლამის ქაფურივით გაჰქირეს. მოლა ბაშირის აბდა-
უბდას არ გამოვეკიდები. ზნეობით მოვალედ კი ესთელი
ჩემს თაეს ერთი მეგობრული რჩევა მიესცე: როგორც
დაიწყო, ისევე განაგრძოს თავისი გამოკვლევა პახტან-
გის კანონებისა, დასტულამასი და სხვ. თორემ ამ
იარალით ჩვენთან ბრძოლა იმას დაფინის გვირგვინს
ვერ დაუშესხურებს, ამიტომ რომ,—მგონია, ცრუ-
კვენაში არ ჩამომართმევ, ჩემი მეგობარო, —ეს ია-
რალი ჩვენს ხელში ყოველთვის ლახტი იქნება და მის
ხელში უხეორო ჩოგანი.

დაგვით სოსლანი.

თეატრის

«დამავმორდი!»

გირმა შადო მოგლივა, ერთი სხვას დაჭრა და
ათასი თოთონ დაიკრთა.

‘ცეკვითა და...’ (დადასტული)
‘რეცერ...’ (* ძაბული)
‘თიალო წუთის სოფელო’
‘მაცხ აქნეინებ რასაო?’
დევ-გმირს შეუკრავ ხელებსა,
აგმირებ მუთაქასაო!...

(ა. გაფშიძე)

იქავ მერჩივნა, საც ვიყავ,
სულ კართოფილი მეთოხნა,
მინამ აქ „ივერიაში“—
სხვისა ნალეჭი მეცოხნა!

(ი. ალექსანდრიძე)

გაშიას ჩივილი

(გ. ილ. ხონელა)

დმერთო მაღალო ძლიერო,
მინდა გილოცო გეაჯო:
რაც მე ტოტიამ მომაგო,
გთხოვ ჩემს პატრონს მიუსაჯო!

პე რამ იკა ტოტია,
ბოხერა ძალლი—ავყია,
მინც მას გაუკაღნიერდა,
შველას ყურები ახია!

ერთხელ ტოტია აე-გული
მარს იწვა თავისთვისინა;
ჩემმა პატრონმა ურჯულოშ
იმაზედ მიმისისინა.

აკუკავწეადი, გავგულისდი,
ჩემს საუბედუროდ აესტყდი;
სიბრიყეთ გალალებული,
ტოტიას ზურგზედ შევახტი.

წამომივარდა აე-გული
(რაც რომ დამმართა ახია):
შურე ზედ შემომაგლიჯა,
ორივ ყური ამახია!

აკუკმუტუნდი, ვივაგლახე,
(ძვირად დამიჯდა ომობა)
პატრონისკნ მეუაშურე,—
იმას ესთხოვე ქომაგობა.

გააგდეთო! — დაიძახა,
უყურეთ ამ წუწეს და ბრიყესო!..
რაც რომ ტოტიამ მოგაგო;
შენი თხელი ჭკვისა გჭირსო!

მეშერსკის შემავედრევით,
წუ მოპელავ-თქო იმ ბრიყე წუწესა:
წამალი გამამიგზავნოს
უმკურნალოს ამ ჩემ წულულსა!

ტილიზუსურა.

ნამდვილთან სწორია: დაგვით სოსლანი.

**

(ვაჟაპეტი ი. გ. ჭ—ძმე)

სმა-ჭამისთვის, ტანთ-ჩაცმისთვის
დაბადება ღირდა გახა?

თუ კერ ჭროვე სხვა მიზანი
უნდა ვიგრა გულში დანა!

წარმატება, იდეალი,
თუ არ არის სიტუაცის მტკერია;

თუ რომ ცხრვების მიზანი
ქვეყნისა შეგნება არი,
მაშ ად ჭრიალდა სავარატი;
უჩემდები უფავდის უმეცარია!

შეარცხვინის ცხა უფრო;
განც დიაცში დაიბუდა,
გერ გაიგო, რომ დიაცთან
გახდა ჭრის მძიმე გუდა!

სმა-ჭამისთვის, დიაცისთვის,
დაბადება დირდა განა?
თუ კერ ჭროვე სხვა მიზანი
უნდა ვიგრა გულში დანა!

o. რევიშვილი.

პატარა უელტონი

(წერილები გურიიდან)

I

ოედორობის კვირა, კვირა ცოდვათ მონაწების
და სულის საქმეთა შედეგომისა სადარბაზოდ გვეწვია
და მოითხოვს ნებითი ხარქს ჩევნთაგან, რომელიც,
ვითარება სუსტი მოკედლავი, ასე თუ ისე, აღვირ
ახსნილ ხორცს უკ-მოუხედველად ვაცურებდით თანა-
მედროვე, კუჭის აღსარების თაყვანის მცემელ ცხოვ.
რების მორევში...

მხლა კი მეტი ჩარა არ არის, თუ არ გვინდა
სახარების შვიდ ზარმაც ქალწულებასაც, ზეციერ-
მა სიძემ მოუმზადებელი გვნახოს, ჩონგური თაროზე
უნდა შემოვდეთ, დამბაქები ბელყოშიდან ამოვიძ-
როთ, გულიდან ყოველივე შური, სიძულვილი და
ლაფლობა მოყვარისადმი ამოვილოთ, დავივიწყოთ
მჩწამესი კუჭისა, შევუდგეთ მრწამსა სულიერს, მცე-
ბას მაცხოვრისას, რომელმაც კაცთა ჭეშმარიტი სარწ-
მუნოება დააფუქნა უკვდავის სიყვარულის საფუძველ-
ზე, მოეინანიოთ ცოდვები და ეითხოეთ ის, რის თხოვნასაც დღემდის, იქნება, არც კი ვფიქრობ-
დით...

შოველს ქრისტიანს, მოგეხსენებათ, ნება გვაქვს—

ეს ჯერ არ აღუკრძალავთ—ლოცვაში დამკარგი რის—
ვსთხოვოთ, რაც გვსურის, და რასაც გულის კულებული
ში გმალავთ... ჩევნ, გურულებს, საზოგადოთ რომ
ვსთქვათ—პირ-და-პირობა და გულ-ახსნილობა ძვე-
ლადგანვე მოგვდეგამს. მაშასაღამე, რა კი ამისთანა
მარჯვე ღრო მოგვესწრა, რომ ჩევნი გულის დარდე-
ბისათვის მალამოს დასადებლად ზეციურ მამას შეგვიძ-
ლია მიემართოთ კელავინდებურზე უფრო თავისუფ-
ლად, ნულარ ვჩუმათობთ—ბარემ საჯაროდ წარმოვ-
სთქვათ ის, რისგან სსნასაც სულითა და გულით მი-
ვცემაფინდით.

რაც იყოს, იყოს მაგალითს, ამ შემთხვევაში,
მე ვუჩვენებ ჩემს მოძმებებს; სულს ქვეშე ვამბობ რომ
ჩემი სურვილი და თხოვნა საბაოთა ღმრთის წინაშე
ეს არის—

პატივს ვსცემ დიდად ჩევნს მწიგნობრობას,
მისს მშრომელთა ღვაწლს, სულგრძელ მხნეობას;
მაგრამ უნიჭო მწერალთ რევენობას,—
უმეტარ კალმიო მათს მეტიჩრობას
ღმერთო მაშორე, ღმერთო მაშორე!

მიყერის თეატრი. ჩევნსა ნიჭიერს
მსახიობთა დასს ვუქებ თამაშსა;
მაგრამ მათსავე ყოვლად ნიჭიერს
ინტრიგებს, ქირდვას, ხრიკთა მანკიერს—
ღმერთო მაშორე, ღმერთო მაშორე!

მული სუსტი მაქს—უნდა გამოვტყდე—
მრთს ქალსა ვეტრიფი, სულს ვწირავ ტრფობას,
მაგრამ მისს მშობლებს, ანგართ მოყვარეთ,
და გვირგვინის წილ, დილეგში ჯდომას—
ღმერთო მაშორე, ღმერთო მაშორე!

არ დავიქადებ, მხოლოდ კი ვიტევი:
არ ვიცი შიში რა არის; მაგრამ
თეონილას *) ყბას, ადიდებულს წყალს,
მერაბის *) შარს და ზავთრის სამართალს
ღმერთო მაშორე, ღმერთო მაშორე!

ჭ.

*) თეონილა და მერაბი, როგორც სთევეს აჭიელმა
მეოთხაეტმა რომელთ გამოისხიოთ ერთი აჭელი კაცი მოჰკლეს
და საქმე ოზურგეთის გამომიებლის ხელშია, სახელებია იმ
როგაპების, რომელნიც მათის სიტყვით სვანეთში ბენაგობენ.

ავტ.

მოტაცებულია!

(შეკვეთის ნაშობი)

I

საღამო შემგლისფერებული იყო, როდესაც მე და ჩემია მეგობარია, მთელი დღით წანწალის შემდეგ, აღაზნის პირას დავდევით ბინა ღამის გასატარებლათ. საღამო საამური იყო: ხები რომელიც მშვენივრათ დაქრიდილებინა დალესტნის მთის წვერებს, საუცხოვო სურათს წარმოგვიღებულ თვალ წინა; იქვე უჩინარი ბუჩქიდგან ფრინვლების სტვენა და ჭიჭიკი, სრულებით ახმაურებდა ამ მიღუმებულს, მიყრუებულ საღამოსა... აგრეთა, ამოანათა ღამის ღამპარმა და საუცხოვო განათა გარე მიღამო; იქ სადაც აქამდისინ სიბნელე ნეფობდა და ხენი სრულებით ჩამობნელებული იყვნენ, ეხლა საამურათ ჩაეშეა მთვარის ნათელი სხივი და საოცარის მანქანებით შეამჭო მთის დაბალი ფერდობები! მშეიდი ნიავი შაეხო ხეთა ფოთოლთ და ღამაზ შრიალთან, თითქო ისინიც კი სულდგმულათ გარდააქცია; აქამდისინ ჩამოლვრემილნი, აღლერსით შეახმაურა და ტოტები ნაზათ შაეხნენ ერთმანეთსა... აღაზნის ნადიმ და თითქო საიდუმლოთ მოსიარულე ზვირთებს, გადააფინა მთვარემზედ თავისი სხივი და შეხებასთანავე წინწელები მარგალიტის მსგავსათ შეათამაშა; აქ კი მოგვაგონდა პოეტის სიტყვები და უფრო ღრმათ შთავინერგევით გულშია:

მხოლოთ ნიავი მთისა მოლენით
ტყეში ფოთოლებთან ღაელანდარობდა
და აღაზანი შეუბოდარი
ჩიოდა, თითქო კაცს ემდუროდა.

მარგა ხანს და ძრიელაც კარგა ხანს შეკვეროლით მე და ჩემი მეგობარი ამ საოცარ სურათსა, ოცნებისაგან გატაცებულებს იინ იცის, ჩემო მეითხველო, სად არ მიყვანდით ფიქრებსა, რომელ შეუძლებელზედ არ გვათრენდა იგი!.. მაგრამ, რაკი ღმევ აქ უნდა გაგვეტარებინა, ამიტომაც შეუდექით ჩვენ საქმესა და ცოტა ხის შემდეგ, ღამათიან ცეცხლა პირას ვიყვით წამოწოლილები.

მაცის სიცოცხლეში ერთ უკეთეს ღროთ უნდა ჩაითვალოს ნადირობა! იმ უმაღლეს სიამოენებას რომელსაც ტყეშია ჰერძობ, ძნელათ მოიპოვებ ამ ჩვენს ერთ გვარს ცხოვრების მიმდინარეობაშია. მაშინ სულ სხვა პარიოთა ჰსუნთქავ, სულ სხვა აუარებელი ფიქრები გილელავენ თავში, რომელიც

ნათლად გიხატულ შენს ცხოვრების ჰორტიუნტეტერტალ უმაყოფილოთ შესკერი მასა... „შეტერ—ზეტერ“ გბეგრდება, თითქო გეზიზლება კიდეც იგი და უმაღლის სახით აშორებ თეალებსა... მაგრამ ტყე და ნადირობა—ნადირობა და ტყე“—ეს სულ სხვა! აი, თოფით ხელში დასდიხარ ტყეში, ტყეში სადაც ბუნების შემძლე ძალა შენ თვალ წინ, ათას ფრათ არის გადაშლილი, საიდამაც შეხედავ, რას დააცეკერდები რომ ოცნებიდგან არ გამოჰყვანდე, არ გაკვირვებდეს ყოველისუერი! შეპხედე თუნდ მაღალ და თვალ აუწვდენელ ხებსა, დააცეკერდ შენს ფრიხთ ქვეშ მწვანე ხაესის ფრათ ბიბინა ბალახსა, დაპხედევი იქვე ნაკადულსავით მორბედ წყაროს მარგალიტის მსგავს წინწელებს, შეახამე ეს ყაველიყე ერთათ და ნათლად წარმოგიღება მთელი ხელოვნური მოქმედება ბუნებისა!..

მს კიდევ არაფერი. დაუმატე ახლა ამას სხვა-დასხვა ფრინველების საუცხოვო ხმა, ხოხბის ღამათიანი ყრიყი და მაშინ ხომ სამზღვარი არა აქეს შენს ოცნებას, შენს ბუნების ნეტარებითი დატებობას!.. აგრეთა, ჰერდავ რომ ხის მარტივათ გამოშვებულ ტოტზედ, ღამაზათ წამომსხდარან ხოხბები და პატარძალსავით მოულერებიათ ყელი, შენ მაშინათვე მოიმარჯვევი თოფი, გულმა აჩქარებით დაგიწყო ცემა და მუხლის თავებზედ დამდგარი რატო ნახევარი ვერსი არ ეპარები; სულ განაბული, თითქმის მიწაზედ გაკრული მისცოცავ, ბალახებსაც კი ხელით აქეთ-იქით იშორებ, თითქო გენანებოდეს ფეხის დასაღმელათა, მისდიხარ, მისდიხარ და ძლიერს! მიატანევი თოფის მნილისა, სჩერდები; უფრო ხერხიანათ იჩოქებ მუხლის თავებზედ, მოიმართო თოფი... მაგრამ, აგრეთა ხოხბებმა უკვე შეიფთხრიალეს მაღლა, გაშალეს ფრთები და ყრიყინით, თითქო დამკინობნენ, გასწიეს სხვა მხრისავენა, სადაც მათ ძნელათ-და იპოვნი. ოლოლოთ დარჩენილი იღებ თოფს და მისდევ ახლა სხვა ბილიკებსა...

პსთქვათ, ჩვენსავით, შემოგიღამდა ტყეში, გინდება იქ ღამის გატარება. მით უკეთესი ღრო მონაღირესათვის! აი, მთელი დღით დაქანცული, აქა-იქ ჰკრეფამ ხმელ შეშებსა, ანთებ ცეცხლს, იქვე შორიახლო დაყრილან შენი საყარელი ძალები, შენც მოსწოლიხარ ცეცხლს ღამათიანათ და ფიქრებისაგან გატაცებული, შეპსკერი ჰაერში თავისულათ მორბენალ ცეცხლის ალსა... აგრეთა ამოვიდა მთვარეც, მოტრიფეს მსგავსათ მოგაფინა ცრიატე სხივი, შენს მახლობელ ბუჩქებიდგან დასხახეს ღამის ფრინველებმა და ჰარმონიულის ხმით დაუწყეს შეხმაურება, ტყეში ჩათვლემილ საღამოსა...

ოს, ჩემო მკითხველო, რომელი დრო უნდა შავ-
დაროს ამ საუცხოებას, რას შეუძლიან დაგვატებოს
კვალათ ასე საამურათა! „მს საუცხოეო სურათია! აქ
უმაღლესი ნეტარებაა სამზერლათა!“

II

მეორე ღამის გატარება ჩვენ მოგვიხდა ერთს
მწყემსთან, რომელსაც შემთხვევით დაუმეგობრდით
გზაშია. ჩვენი ახალი გაცნობილი მწყემსი წამოსადევი
კაცი იყო; იმისი გამომეტყველი თვალები და მოცი-
ნარე პირის სახე ცხადათ გვიმტკიცებდა, რომ იყი
«გულ-კეთილი» კიცი უნდა ყოფილიყო, არ იყო ახალ-
გაზდა და არც მოხუცებული: იმისი განიერი მხარ-
ბეჭი და ჩასხმულება, გრძელი და ცოტა ჭალარ შერ-
თული წვერ-ულვაში ხომ, სრულებით ამშვენებდენ
ისეთაც მიმზიდველ სახესა. მნახველს ის სწორეთ რომ
ქართველს, მხოლოდ უწინდელს ქართველს წარმოგ-
ვიდენდა თვალ-წინა, ყოველ ჩვენ კითხვაზედ, ყო-
ველ დალაპარაკებაზედ ისეთ მოსწრებულ და გონიერ
პასუხს გვიგებდა, რომ სრულებით გვაფიქრებდა ჩვენ
იმისი მწყემსობა და, თითონ ჩემმა მეგობარმაც
მითხრა: — გამიგონე! იქნება ბედს განგებ ჩაეგდოს ეს
კაცი, ამ გვარ ცხოვრების მორევში, მაგრამ ჩვენი
იკვენეულობა მალე სულ ტყუილი გამოდგა და ის
დაბადებითვე მწყემსი იყო, როგორც თითონ გვითხ-
რა შემდეგში.

ჩვენ და ჩვენი ახალი მეგობარი იმის ცოტაოდენ
ცხეარს მძიმეთ მიეღვევით უკანა. საღამო ჟინქლლი-
ნი იყო; დაპერა ამასთანავე ნებათ მოქრიალე ნიაქმა
და წევიას საამურათ გვასხურებდა პირზედა და დღისით
მზისაგან შერუელულ სახეს ლაზათიანათ გვიგრი-
ლებდა.

აგერა მიეაღწიეთ ჩვენი მეგობრის ქოხსაც. ქო-
ხის წინ მშვენიერ დაგებულს მწვანინზედ სწრაფლ
დაეყარა ცხეარი, იქვე გარშემო შემოუწვენ ძალლე-
ბი და ჩვენ კი მეგობარმა შეგვიწვია ქოხში. ქოხი
სულ ექვსის ბოძისაგან იყო შემდგარი, ზედ ბლო-
მათ წაეყარათ ბენტში მოჭრილი ჩალა და ისე ხე-
ლოვნურათ იყო დახურული, რომ მართლა მთელი
დღე და ღამე ეწვიმა, იქ სრულებით უფიქრელი და
ახერიათ უნდა ვყოფილიყოთ.

— ნურა გეფიქრებათ რა, თქვენი ჭირიმეთ,
ნიაღვარი რომ გასქდეს აქ წევიმა არ ჩამოგვივა; აბა,
იქნება ბოლმა თუ შეგაწუხოთ, თორემ სხეა ფიქრი
არა გვაქვს, მხიარულათ და კეთილ მასპინძლის კი-
ლოთი დაგვიწყო ლაპარაკი.

ნუ შესწუხდები შარამან (ამ სახელით გაგ-
ვაცნო თავისი თავი), ხომ გაგიგონია: „ესაც თევზი

უნდა, ფეხებიც სველი უნდა ჰქონდეს კერძოდ ჩემი რო-
გორც მონალირენი, ბოლსაც შეჩეული გართ და
აედარსაცა, მიუგეთ ჩვენც მხიარულ მასპინძელსა და
ჩამოვსხედით ცეცხლ ნაპირს პატარა სამ ფეხა სკამებ-
ზედა.

— მაშ თუ ეგრეა, სხვა ლეთის მოწყალება ბევ-
რი გვაქვს, თქვენი ჭირიმეთ! შაურმა, რძე და ყველი
ხომ სამყოფია.

— არაყი კიდევ ჩვენა გვაქვს, მასპინძელო! ორი-
ვემ მხიარულათ შეეძახეთ შარამანსა.

ცეცხლა პირს გარშემო შემომსხდარნი, სიამოვ-
ნებით უცხოეროდით ლაზათიანათ გაძრიელებულ ალ-
სა. გაძრიელებულ ცეცხლს, გაძრიელებული ბოლი-
ცა ჰქონდა, სახლი (თუ შეიძლება ზოგი ერთა ქოხს
ასე უწოდოთ), სრულებით აივსო ბოლითა და არ
იყო რომ ჩვენმა თვალებმა მალე იგრძნეს აუტანლო-
ბა, მაგრამ, რას ვიზამდით, ნება უნებურათ უნდა აგ-
ვეტანა!

— დურიჯ! დაუძახა მასპინძელმა თავის ცოლ-
სა, რომელიც კარში იყო და წვრილ ბატქნებს ფა-
რებში აბინაებდა.

ჩვენთვის ამ უცხო სახელის წარმოთქმამ, ცოტა
არიყო ცნობის მოყვარეობა აღვეძრა და დავეკითხვით
მასპინძელსა: — ეს ქართული სახელი არ არის და საიდ-
გან მოიგონა თითონ ამ უცნაური სახელის დაბახება
თავის ცოლისათვისა?“ ჩვენს კითხვაზედ ცოტა არ
იყო გაიღიმა, გადისო შუბლზედ ხელი, აიწია თვა-
ლებამდისინ ჩამოხახული ტყავის ქუდი და თითქო რა-
ღაც სიამაყის გამომეტყველობით მოგვიგონ!

— თქვენ მართალი ხართ! მს ქართული სახე-
ლი იმიტომ არ არის, რომ ის ქალი — «მოტაცებუ-
ლია»!

— მოტაცებულია? ორიემ ერთათ დავეკითხეთ
მასპინძელს თავისივე სიტყუა.

ამ მოულოდნელმა სიტყვამ უფრო ერთი ათათ
გააფართოა ჩვენი ცნობის მოყვარეობა და დაუწყევით
თხოვნა, რომ ეამბო ჩვენთვის თავისი თავ-გადასაყალი
და ამასთანავე ისიც, თუ როგორ, საიდგან და რა-
ჩაგრძოს არის ქალი მოტაცებული. საზოგადოთ და
ჩვენმიაც მწყემსი ხალხი ძრიელ მოსაუბრენი არიან
და არასოდეს კაცს არ დაპირდებაან, რომ ერთი
მეორის, თუ თავიანთი თავ-გადასაყალი მოუთხოონ
სხვას და ასე და ამ რიგათ გარდასცენ რომელიმე
შემთხვევა. ჩვენ ახალი მეგობარი და მასპინძელიც
მწყემსი იყო და რასაკურველია არც ეს გადაუდგე-
ბოდა საერთო ჩვეულებასა, არც ეს გადაპირდა უარს
რო გაეზიარებინა ჩვენთვის ის, რაც თავის სიჭბუ-
კეში გადაპირდა თავსა და ის უფრო უმეტეს, რო-

გორ და რა შემთხვევით მოიტაცა ქალი უცხო თვის-ტომობისა.

მასპინძლის ძახილზედ შემოეგდა იმისი ცოლი დურიჯი. წარმოიდგინე მკითხველო, ქალის მშვენიერი წამოსადეგის ტანი, მსხვილი მხარ-ბეჭი, მრგვალი პირის სახე და შავი ღიღირონი თვალები, რომელსაც ზედ შეირი ქერა წარბები სრულებით ამშენებლენ ისეთაც ლამაზ და მიმზიდველ სახესა. მოკლე ტყავი, „ლეკური წინდები“ და ფეხის კოჭებამდისინ წმინდა შალის კაბა შეადგენდა მთელ იმის ტან-საცმელსა; ქალის ასეთმა სიმშენიერებმ, ჩაცმულობამ და ცქრიალა მიხერა-მოხერამ დაგვარწმუნა იმის უცხო გვარ-ტომობა და ამათს თავ-გადასავალის ამბაეს, უფრო სული მწარეთ მოველოდით როგორც მე, ისეთაც ჩემი მევობარი.

გ. ალის-ციხელი.

(დასასრული შემდეგ ნომერში)

დედა და შვილი

(სიმღერა)

ერთს დედას ჸერგდა შეიღი დამზი; მშენიერება, ნაწარი, ნაზი. ბუღბუღივითა მშეიღი და წერი; აცხად შთენიღა მის შესადარი. სადამორელე—მზის დასავალზე დედა მოვიდა თავის სახლევარზე. შეიღი მიიგრა მოუკარულ მკერდში და სიყვარულით აკოცა თვალში.

დედა

შეიღო! გთხოვილობს ქაცი მდიდარე, თვალი კარგი—ბიჭია დარე. ხომ იცი რომა შენი გგირგვინი ჩემთვის იქმნება აღდგომის ლხინი.

შეიღო

რას უბნობ, დედავ! რას მეუბნები, მე დარე ბიჭია როგორ გავეგმი. სახლი და კარი წერალ წაღებული— თუ მოიხარების უდროვოდ გული. მე მინდა ბიჭი, ბიჭი მაღალი.

შერცხალივითა ცემირი დამზი.

სახლის კარებსა, რომ შემთაღებს, შემირიც ვიუგე, გამასალისებს.

მარდად ჩამაჯენს იგი გალთაში შემომახვედა, მაგრცებს თვალში.

დედა! ნუ მაგდებ გლასების სელში გერ გავისარებ მე ჩემსა დღეში.

რ. ალისუბნელი.

თეატრი და მუსიკა

გვირას, 2 მარტის, „თბილისის სობრანის“ დარბაზში, გამართული იურ გონცერტი, შირველი გლასიგური გიმნაზიის იმ დარიბ მოსწავლეთა სასარგებლოთ, რომელიც წელს ათავებუნ სწავლას და შეუძლებლობის გამო კედარ აგრძელებუნ სწავლას მაღალ სასწავლებლებში. ამ მაზნით უკვე წელს იმართება ხსალმე კონცერტი და უთველოვის დიდ თანაგრძელებას იჩენს ჩენი საზოგადოება. წელსაც არა ნაკლები თანაგრძელება გამოიტანის ჩენმა საზოგადოებაში დარიბ მოსწავლეთ. მთელი დარბაზი გატერნილი იყო ხალხით კონცერტი დაიწყეს სახალხო გიმნით «Боже царя храни», აღმსრულებელნა დიდის სიმღერით და აღტაცებით იუნებ მიღებულნი საზოგადოებისაგან. აღმსრულებელთ შორის გარდა რესეული რპერის არტისტებისა, მუსიკის და სცენის მოუკარენიც იღებდნ მონაწილეობას. ბატ. ნასაცერტებმა ჩინებულათ დაუკრა სკრიპტებები ჩაიკვეთების რომანით და ბატ. თბილისინმა სელვანურად წინიგითხა რამდენიმე ლექსი. კონცერტის შემდეგ ტანციობა გაიმართა.

თბილისის გრუქოვში ქ. ტიმანოვისაგან გამართულმა კონცერტმა, ორშესათი, 3 მარტს, დიდ მაღალ ხალხი მიიზიდა. კრუქოვის სათეატრო ზალა საგსე იყო მსმენელებით. თვით შიების ასრულებაზე ჩენ არას გიტებით, რადგანაც გამოჩენილი შიანისტების ნიჭი დიდი ხანია დაზისებულია მთელს კერძობაში. მსმენელნი აღტაცებაში მოღილე გეელა ხომრის აღსრულებით. გამოხენილ არტისტებს ბევრი ტაშის გროვა და ბრავო უძღვნეს. კონცერტის გათავების შედეგ საზოგადოება არ დაშლილა და სოხუმა ქალი. ტიმანოვის კიდევ ასრულებინა რამე. პატივცემულმა არტისტებმ დიდის სიამოგნებით მიიღოთ საზოგადოების თხოვნა და ჩინებულად ასრულა ფანტასია „სონამშეულიდამ“. გუშინ თბილისის თეატრში ქ. ტიმანოვისამ გამართა მეორე და უკანასკნელი კონცერტი

ქ. ქ. ზარუდნაიას, სმირნოვის და ბ. იშტოლიტოვი-ივა-
ნოვის დახმარებით.

სამშაბათს, 4 მარტს, „თბილისის სობრანის“ ზა-
ლაში, ერთი ასლად დამატებულ ჯაჭვის სასარგებლოდ
გამართული იყო ლიტერატურული და მუსიკალური საღამო.
ამ საღამის ჩერნის არტისტებმაც მიიღეს მონაწილეობა.
გამუნია-ცაგარლისა იმდევნეს ბაიათები, ბ. ალექსევ-შესხივ-
მა იმდევნა რესულად კომიგური გვიშლეტები.

საბოლოო, 10 მარტს, თბილისის თეატრში ერთ ასალ-
გაზედა ქალის სასარგებლოდ, ორმეტიც კონსერვატორია-
ში შესვლას აპირებს გამართული იქნება კონცერტი, ორ-
მეტიაც მიიღებენ მონაწილეობას: ქ. ქ. სმირნოვისა, სვა-
ნიძინა-ბარიშევისა, გ. შევა—ლენსკისა, ერტინგერი, ზენ-
გლაუბი, ლიუტინი და ბ. ბ. კინია, გარნეგინი, ივანოვი,
მოლხნიანი, ტლენიკოვი, როზანოვი, ფულინოვი და
რიუტინი. ამინდე

თოვლის შევიტეთ, ჩერნი სათავადაზნაურო ბანკის
მმართველობა, არწივების სეული თეატრის განახლებას აპი-
რებს. სცენას ადიდებებს და დოუებს უმატებენ. ურიგო
არ იქნებოდა, ორმ დეკორაციები და სასცენო მებეჭიც გა-
ნეხლებინათ.

სამსური გაზეთი უარზაგანგი“ გვაუშეს რომ
წელს ასლება ისალი სომხეთი დრამატიული დასი და
ნააღდგომებს წარმოდგენებსაც დაიწეულო. ბ. ბ. ფრიდლ-
ნოვის და თავადვის მეცადინებით 3,000 მანეთი არის
მოგროვილი ამ საქმისათვისო.

ჩერნი შევიტეთ, ორმ ქართული დრამატიული სა-
ზოგადოების მმართველობა თვითონ კისრულობს მომავალ
სეზონის წაფვნიას.

ქუთაისიდამ გვწერნ, რომ 23 თებერვალს გ. მებხის
სენეტისი ყოფილა. წარმოუდგენიათ გრიბოედოვის თხხ-
მოქმედების კომედია „გაი ჭევისაგან“. სენეტიციის ტუ-
ხაცის როლი უთამაშნია. ხალხი ბევრი დასწრებია.

დილა

სტურცნა ცის ლურჯა გამარას დილის მზემ თვის-
სი ისრები —
აღდღგომის გვერცებრ შედება ნაგლეჯ-ნაგლეჯი ღრუბ-
ლები...
ბაქე დამჯდომა მოლვანებმ აქტორით მეტთად სხვაები,
განჭერნ გარემონტიც, მზის სხივით კაბინილნი, დარცე-
კუნდები... კუნდები...

სამყარო, მრავალ ფეროვან მორთულობა უძველესია კ-
ამ დილით მეტად უგადება, მზის ელევით განსხვავებული...
ისმის ფრინველთ ხმ, გალაპა, გრძნობებით უზავებული,
მათ ბანს აძლევენ ჩახსხით წეარონი გამაღებული!

თოვლიში ეხვევა მიდამო — ცვრიან მდელონი შე-
ბიან; სივნი ჰქოცნაინ გარდნასა; გუგურნი იუგონებებიან;
ქორფა შურები, მწოდარნი, ნელ-ნელა ფეხზე დგებიან...
მდინარნი აქრო-ქსოვილად მათ შეა იხატებიან!..

მწევმთ სალამურის გიგილით მთა, ბარი გაფხიზ-
ლებულა; ტურმული მთათ გადთა ჭოგოგან აჭრელებულა...
გუგუნებს მეშა ყანებში — მხენე შრომით გატაცებულა!..
მაღლი გამჭრალა... ჩვეულებრ სიცოცხლე ადგლებულა!..

ქვეუანა დღესასწაულობს, გულს იტებობს ნეტარე-
ბითა, ტეც დაწურებს მშენებით, სიცხვლის მეტეველებითა —
ბუნება განცხრომაშია, დარდი არა აქს ბუნებას!
მოუგლენია გურთხევა ზენარსისა დიდებას!..

მატებობს, დევნილსაც ეს დილა, მაღხენს მგლანსა
შევენება! გერ მწამლამს ამ წამს მე ხაშმი, სოფლის თვალთ-მაჭრი
ცხოვრება, მისი სილამრუ, სიცოლე, მნებითა წაწერდალება,
წაღმა-უგუდმა ტრიალი, ბოროტიზე მიღრეკილება!..

გ. თოვლი.

ნარევი

დღმისჩეული აზრები ჭეინები, შესახებ მაღალ აზრ-
ების ხალხზე.

როგორათაც ეარსკვლავემი ცას ამშვენებენ, აგ-
რეთვე მაღალ აზროვანი ხალხი თავიანთ მიწა სამ-
შობლოს. დიდ აზროვანი ხალხის გულო დედა-მიწის
ეარსკვლავები არიან. როგორათაც ეარსკვლავები მნელს
ლამეს ანათებენ, აგრეთვე მაღალ აზროვანი ხალხი
თავიანთ თანამემამულეთ უნათებენ. (პ. 91).

ბერი მაღალ აზროვანი კაცი ამოუჭამია ამ უმა-
ლურს ქვეყანას; უოკელ ნაბიჯზედ იმათს ნაკვალევს

ვხედავთ, რომელიც განათებულია. ბევრს ბედნიერს საათში ჩვენ სულში მოგველანდებიან ხოლმე. მხოლოდ დიდ აზროვან კაცს შეუძლიან დიდ აზროვანი კაცის დანახვა. დიახ, მხოლოდ იმას შეუძლიან იმის გულის სიოლმოები ჩახედვა. მრთი სიტყვით, მთელს იმის სულის წყობილებას იგებს და გრძნობს. (1. 76).

დიდ აზროვანს კაცს შეუძლიან თავის განძრახვებს წინააღმდეგ იმოქმედოს, როდესაც იგი ორ გვარ სხეა-და-სხეა საზოგადოებაში არის და სცდილობს თავის აზრების განხორციელებას, იგი გარემოებას ემორჩილება, როგორათაც ფლუგერი კოშკედ, თუმცა რეინისაა, მაგრამ ყელა ქარს შეუძლიან იმისი გაღმოგდება და დამსხრევა, თუ რომ ქარჩედ რიგინათ არ იბრუნა, (რა სოფელშიაც შეხვედე, იქაური ქული დაიხურეთ, ანდაზა). მაგრამ დიდ აზროვანი კაცი, თავის დღეში სულით ისე არ გამოიცვლება, რომ თავის მემამულეთ ცუდს მიღრევილებას გულგრილად უყუროს და უბედურობა მოუმატოს. როგორათაც ჩვენ მშობლები გვიყვარს, აგრეთვე ის ხალხი და ენა, რომელშიაც ჩვენ დაეიძადენით და მივიღოთ სიცოცხლის დასაწყისი, არც ერთი რჯული არ არის იქამდისინ მდარე და არც ერთი პოლიტიკა არ არის იქამდისინ კარგი, რომ ეს ბუნებითი გრძნობა გაფიქრონ. (2. 219).

მხოლოდ გენიოსს აქვს ახალი აზრებისთვის ახალი სიტყვები. (3. 76).

გენიოსის კალაში, თვით გენიოსზედ და იმის დროებითი განძრახვებზედ დიდია. (8. 62).

როდესაც ჩვენ გვესმის იმ ქალაქზედ, რომელშიაც დიდ აზროვანი კაცი სცხოვრობს, თუმცა ჩვენ თვითონ ვერა ვერძნობთ, ისე წარმოვიდგენ ხოლმე, როგორათაც ქალაქის შუა გულს, ჩვენ ისე წარმოვიდგენთ ხოლმე თითქო სამჭედლოებიც კი იმის დიდებით განათებულიათ, მაგრამ როდესაც ქალაქში შევდივართ მალე ვერა ვპოულობთ იმ ადგილს, როგორათაც მოგზაური ყველაზედ ადრე ეკლესიას ხედავს, მაგრამ როდესაც შიგ შედის, მრავალი წალმა უკულ მა მიგრებილ-მოგრებილი ქუჩები უნდა გაიაროს, რომ ეკულესის კარამდის მიეიდეს. (7. 134).

გამოცანები

ზემო იმერეთში შეკრებილი სოსიქოსაგან

1

არწივის წევის,
მუხრანი გივის,

ლაში იწიწვის,
ფუტური სკდება.

2

ჩემი ჰატარა მანანა:
ხან გააცინებს, ხან არა.

3

გარეთ ატარასი,
შაგნით ათასი

4

აბლი-ბაბლი,
ჭირცხლის ტახტი;
მზით ავიღე,
მთვარით დავდგი.

5

ხის ზურგი და
ჭის მუცელი.

6

წინ ზურგი,
უგა მუცელი.

7

ჩემი ჰატარა ბაჭია,
სიობილით არის მაგე.

8


ლორს კაჭ-მდინ გერ შესწედება;
გაცედ უძაღლესი არის.

9

შიგნი გული გურგუმალი,
გარეთ ჭინი ატარასი;
მას რომ ჭარა ასევება
მაჩიუბარი ათასი.

10

ზეიდანა მოდიოდა:
უფთო, უფეხო, უურო,
გეტაჟი? როგორ გეტაჟი?
არა და როგორ უურო?



შემლილი სიცარულისაგან *)

დრამა 5 მოქმედ. თხზ. დონ-მანუელ ტამასიძე და ბაჟიანა

სცენა VII

დელოფალი და დონა მლეირა.

ელგირა. დაბძანდით, დელოფალო! ძალა მოიკრიფეთ.

დედოფალი. წვიმა, ქარმა, დალალვამ, მოუსვენ-

*) იხილე „თეატრი“ № 9.

რობამ დამტანჯეს მე, მაგრამ გარშემუნებ, მლვირა, ეხლა კარგათა ვარ.

ელგირა. რა წინდაუხედობაა, დედოფალო! არ ვიცი რა ვქნა... მცადენით მაინც, რომ სრულიად არ გაანრისხოთ მეფე.

დედოფალი. აგერა ისიც. შენ მანდე ითახში დაიმალე, ერთად არა გენახოს...

ელგირა. მნდეთ ჩემს ერთგულობას, თქვენო დიდებულებავ.

დედოფალი. ზაიტა სანათებელი.

ელგირა. მლერთის მშობელო დედაო, დაგვიფარე ჩენ! (მიღის მარჯვნივ კარებისკენ, თან სანთელი გააქცეს).

სცენა VIII

დედოფალი მარტო, მერე მეფე, მასკები, შემდეგ დონ ბლვარი, პლდარა და დონ მლვირა.

დედოფალი. ის ქალი იქ არის. იგი ძალიან კარგია! მხლა მე თვითონვე შემიძლიან მისი ნახვა. რას ვჩადი? არა, აქ უნდა მოუტალოთ ფილიპეს. განა ეხლაც გაპერდას ჩემს მოტყუებას? აა, რა სიამონებას ვიგრძნობ მე მაშინ, როდესაც დავინახავ მის პირისახეზე გაოცებას, განცვიფრებას, მის გაბოროტებას! დღეს ჩემი გამარჯვების დღეა! დიახ, ეს ის წამია, როდესაც ხანგრძლივი ტანჯენი სიხარულად უნდა გადამექცენ! აი ფეხის ხმაც! მს მისი ფეხის ხმა ხომ არ არის?! უთეველი მისი ფეხის გადადგმა ჩემს გულს ხმას აძლევს.

მეფე. (შუა კარებთან, კულისებში ლაპარაკობს) თქვენ აქ დარჩით და ელოდეთ ბძანებას.

დედოფალი. (თავისთვის) რა მადლის? სად არის ის სულის სიმტკიცე, რომელსაც ჩემში ვიგულისხმევდი.

მეფე. შევიდეთ მის ითახში. (მიღის პლდარას ითახში და ამ დროს დედოფალი შექვდება) ა, აქ დედაკაცია...

დედოფალი. (თავისთვის) იგი მიახლოვდება...

მეფე. (მივა მასთან) პლდარა. ეს თქვენა ხართ?

დედოფალი. (თავისთვის) რა ვქნა? რა უყო?

მეფე. პლდარა! (ხელსა ჰკიდებს) არ უარ ყოვს ჩემს ხელს.

დედოფალი. (თავისთვის) გაბედე!

მეფე. თქვენ პასუხსაც არ იძლევით?

დედოფალი. (თითქო რილასიც თქმა უზღოდა და ამის მაგირად იცინის) ხა! ხა! ხა!

მეფე. შენ დამცინი კიდევ?

დედოფალი: ხა! ხა! ხა!

შეიძლოთ მეფე. ლერთო ჩემო, ეს ის არ არის! ვინა ხართ თქვენ? მითხარით. სანათობელი, ფერანო, სანათობელი!

დედოფალი. მე მეგონა გულითაც მიჰედებოდი— თუ მე ვინცა ვარ!

მეფე. მს ხმა? ო, გიცნობთ თქვენ! (გამართმევს ერთს მასკას სანათობელს,— მასკებს შორს აყენებს და თვითონ უახლოვდება დედოფალს) დედოუალი! დედოფალი აქ!

დედოფალი. დედოფალს მაშ სადა აქვს აღგილი, თუ არ მეფის ახლო!..

დედოფალი. უბედურო! უპასუხე დედოფალს... სკაპიონის შატრონი. დედოფალი!.. შმინდაო მფარელო!

დედოფალი. შენ მეფემ რა გითხრა?

სკაპიონის შატრონი. იმან მე მითხრა... იმან მე მითხრა...

დედოფალი. რა გითხრა? დაასრულე!

სკაპიონის შატრონი. მე გულითა მსურდა... მაგრამ არის დაბრკოლება... თქვენო დიდებულებავ, მაპატიეთ... აა რა... მე თავის დღეში დედოფალთან არ მილაპარაკნია...

დედოფალი. დედოფალი ისეთივე დედა-კაცია, როგორც სუკელანი და ბოლიშს ტყუილად იხდი. აბა, თქვი ჩქარა...

სკაპიონის შატრონი. რომა ვთქა, მეფე ჩამოახრიობინებს ჩემს თაეს.

დედოფალი. და თუ არ იტყვი, დედოფალი ამაღამევ უბძანებს შენს ჩამოახრიობას.

სკაპიონის შატრონი. როგორ,— თქვენც ინტებთ ჩემს ჩამოახრიობას?

დედოფალი. ამოირჩიე!

სკაპიონის შატრონი. მეფე ამოვირჩიო ჩემი ჩამოახრიობა?

დედოფალი. გეფიცები პატიოსნებას არაფერი და გიშაცებარა, თუ რომ მეტყვე ამ საიდუმლოს.

სკაპიონის შატრონი. ნამდვილად? მაშ აღარ ჩამამახრიობთ? მიბოძეთ ნება ფეხებზე გეამბოროთ.

დედოფალი. თუ კიდევ მოთმინებიდგან გამომიყვან, უარს ცუკი ჩემს დაპირებას.

სკაპიონის შატრონი. ძარგი სენიორა. აქ, სასტუმროში სცხოვრობს ერთი ქალი. ძალიან ლამაზია, სახელად პლდარა ჰქეიან.

დედოფალი. გააგრძელეთ.

სკაპიონის შატრონი. მეფე... რაც იყვეს, იყვეს... მეფე როგორც თქვენმა დიდებულებამაც ბძანა ისე-თივე კაცია, როგორც სხვები. მერე... მტერი მძლავ-

რა... მსეა ყოველთვის. განძია სწორეთ, განძია ის ქალი...

დედოფლადი. მერე?

სკაპიონის ბოლოს პაწაწინა ცოდო...
სიცელქე... სასტიკათ არ უნდა ესჯიდეთ.

დედოფლადი. რა, მერე. რა? მხლა შენ მოტაცე-
ბაზე ლაპხაკობდი.

სკაპიონის ბოლოს. დიახ... იმას ამაღამ უპი-
რებს მოტაცებას; მე ყოველივე მომზადებული მაქეს.

დედოფლადი. (თავისთვის) დექრით ჩემი! დექრ-
ით ჩემი! (მაღლა) სად არის მისი ოთახი?

სკაპიონის ბოლოს. (უჩვენებს კარებზე, რომე-
ლიც კარილორში გადის) აი აქ არის, სენიორა.

დედოფლადი. თავისუფალი ოთახი ხომ გაქეს?

სკაპიონის ბოლოს. აი აქე მშვენიერი ოთახი
გახლავთ (მარჯვენა კარებზე უჩვენებს).

დედოფლადი. ძარგი. წადი მეფესთან მოვიდეს
მის მოსატაცებლად.

სკაპიონის ბოლოს. (მიღის და ისევა ბრუნდე-
ბა). მითმა დიდებულებამ გიბანა სანთელი ყველგან
გააქერითო. თუ ის სინათლეს დაინახავს იფერებს
რომ...

დედოფლადი. ის სინათლეს ვერ შენიშნავს, (სკა-
პიონის პატრონი წავა და კიდევ დაბრუნდება).

სკაპიონის ბოლოს. (დაიჩიქებს დედოფლის
წინ) გენაცვალე, დედოფლო, ხომ არ ჩამახარე-
ბენ?

მეფე. (სანათობელს სტოლზე სდგამს და მას-
კებს ეუბნება) წადით თქვენ და გარეთ მომიუადევით.
აქ აღარავნ შემოხვიდეთ. როცა საჭირო იქნება, მე
თვითონ გიხმობთ (მასკები გაღიან. მეფე ჰკეტამს შუა
კარებს) ახლა გთხოვთ, სენიორა, ამიხსნათ—თქვენ
აქ რამ მოგიყვანათ.

დედოფლადი. ზანა ჯერ შენ თვითონვე ვერ მიმხ-
დარხარ?

მეფე. მე გთხოვ რომ თქვენ თვითონვე მითხ-
რათ.

დედოფლადი. მე მოვედი იმისთვის—რომ დაგეხ-
მარო იმ სახემში საქმეში, რომლის გულისთვის
შენ მუდამ აქ დაიარები.

მეფე. (თავისთვის) რას ამბობს?

დედოფლადი. დიახ, მე თვითონა მსურს გამოვე-
ლაპარაკო იმ დარბაისელს, რომლის სანახათაც შენ
ამ სასტუმროში მოსდიხარ ხოლმე როგორცა სჩანს,
ჯერ შენ ვერ მოვიგია მისი გული, ჯერ სრულიად
ვერ დაგიმარცხებია იგი. დექ, პირად ჩემგან გაიგოს
იმან, რომ შენ მე არამც თუ მტანჯამ და მაჯავრებ,
არამედ ძალიან გიყეარება და პატივსაცა მცემ. დექ,
იმან ჩემგანვე შეიტუოს რომ მასტილია არ არი შენ-

გან შევიწროებული და გაქელილი, რომ უემი შეცემა
იქით ზრუნავ მის კეთილ-დღეობაზე და რასაც შეწებ-
ავრცელებენ—ეს შენი მტრების ცილის წამებაა. ამა-
საც შევატყობინებ იმას, რომ ჩემი სახელი ტყუილად
აულიათ იმათ არეულობის ნიშნათ და მიზეზათ. მე
დღეს მინდა გამოვგეხარჩლო შენ, და ქვეყანას გადუ-
შალო შენი საოჯახო, თუ სამეფო სათნოებანი. აბა,
რას იტყვი? ცუდათ არის ყველა ეს მოგონილი? რა-
საკრელია კეთილი გერულგი არ მოელოდა ჩემს შეხ-
ველრას. სუვერელი ეს ძრიელ აზიანებს მამის ჩემის მომხ-
რებს—მაგრამ ლროა ისპანიამც გიცნოს შენ ისე,
როგორც მე შენი ცნობა მაქეს.

მეფე. (თავისთვის) რაღა მეთქმის?

დედოფლადი. პირელად ეს კი მითხარ: ვინ იყო
ის მანდილოსანი, რომელსაც შენ უძახდი, როცა აქ
შემოხვევლ?

მეფე. ბიძაშვილია სკაპიონის პატრონისა.

დედოფლადი. რათ დაეძებდი იმას?

მეფე. უნდა მეყითხნა—გერულგი მოსული იყო,
თუ არა.

დედოფლადი. და მარტო ამისთვის მავლე იმას
ხელი?

მეფე. ის მე პასუხს არ მაძლევდა და უნდა შე-
მეტყო ეს ის არის თუ არა ..

დედოფლადი. შევდურო ზილიპე! რამდენი ზრუნ-
ვა, რამდენი შრომა გმართებს შენ—რომ ურთიერ-
ობით მომი ტყუილად არ იღეაროს სისხლი შენი
ქვეშევრდომებისა!

მეფე. ძალიან მოხარული ვარ—რომ სამართალს
იძლევი.

დედოფლადი. სამართალს ვიძლევიო? მე უფრო
დიდი რამეთი მავალებ, მინამ შენა ფიქრობ. ახლა რას
იფიქრებდა სხვა ვინმე დედა-კაცი, იმისთვის რომ ეთ-
ქვათ: შენი ქმარი დადის ამ სასტუმროში ვილაც ლა-
მაზ ქალთან საარშიყოთ და ამ ქალს ამაღლევე უპი-
რებს მოტაცებასაო? ის დაიჯერებდა. ხომ, როდესაც
შენ აქ გნახავდა მარტოდ მარტო, წამ-და-უწუმ მისი
სახელის ხსენებით, და შენ დაუყონებლივ გადიძახებდა
მატყუარას, ფლიდს, ფიცის დამრღვეუს.

მეფე. ღონა ხუანა!

დედოფლადი. მაგრამ შენ ამ სიმდაბლემდის ვერ
მიხვიდოდი!

მეფე. ქმარა, სენიორა!

დედოფლადი. მე ქნუკამ თვალებს და ვიქშობ სმე-
ნელობას სინამდვილის წინაშე და ვიჯერებ მარტო
იმას, რასაც შენ ამბობ.

მეფე. სენიორა!

დედოფლადი. შევდურო, განა ვერც კი მიმხ-
დარხარ, რომ მე დაკარინ?

მეფე. თქვენი მაგგვარი გამედულობა მაკვირ-
ვებს. თქვენ ხომ არა ფიქრობთ დავემთან იმ ურცევ
მზრუნველობას, რომელიცა გსურთ თქვენ ჩემზე იქო-
ნიოთ?

დედოფლადი. თქვენ ხომ არა გვინათ უდაუ-
ჯელად დაექაგრინონ ვისმე?

მეფე. დამშვიდით.

დედოფალი. მე დავშვიდიდე? მაგგვარი დარიგება უჩივო არ არის სხვა ღროს, ეხლა კი როდესაც ჩემი აქ მყოფობით მიზანს ვერ მიგიხსევია, შენ იტანჯები და მე კი ბედნიერათა ეთელი ჩემს თაქს. მხლა ძრწის შენი გული, მე კი ვიდესასწაულებ. მწუხარებასაცა ჰქონია თვისი შვება და სასოწარკვეთილებას — დასასრული.

მეფე. დაფიქრდი. შენი უჭირუ ქცევანი სხვა ნაირად გაიტანება საჯაროდ და მე პატივი ამეხდება.

დედოფალი. შენ ჰებდამ კიდეც საკუთარ პატიოსნებაზე ლაპარაკი? ჩემი პატიოსნება? მამა კაცის პატიოსნება! ზანა ჩვენ ორივენი ერთად არ უნდა ვზრუნავდეთ ჩემს სათნოებაზე, მოვალეობაზე და პატიოსნებაზე? სილცეილი და სათნოება მარტოკა დედა-კაცისთვის არ გაუჩენია ღმერთს!

მეფე. შენ ძალიან შემცდარი ხარ, თუ ფიქრობ, რომ მაგგვარი ქცევით შეიძლება მეუღლისადმი სიყვარულის დამსახურება.

დედოფალი. მე ეხლა ერთი და მწალიან: შამი-ძულე მე, და რაღანაც ჩემი სიყვარული შენთვის სასჯელია, მე დღითი-დღე უფრო-და-უფრო მეყვარები.

მაფე. ვგ შენი ჩემდამი სიყვარული, სენიორა, უფრო სულელობას, შეშლილობას წააგავს. მაგგვარი სიყვარული ქვეყნისგან კილვას მეეღლის.

დედოფალი. ჩემი შენდამი სიყვარული კილვას მეეღლის? დახ: დედა-კაცს რომ უყვარდეს საყვარელი — ეს არაფერია, მაგრამ ეს კი გასაოცარია მრავალ წელიწადობით ცოლს რომ თავისი ქმარი უყვარდეს, განა? უკანონ, ბიწიერი სიყვარული — აი სიყვარული ეს არის, კანონიერი და წმინდა — ეგ ხომ სიყვარული არ არის, ეს სისულელეა, სიგიე, შეშლილობა!

მეფე. დაბრუნდით, სენიორა, ტუდელოში, კაცებს გაგაყოლებთ.

დედოფალი. და მერე?

მეფე. თქვენ იძულებულსა მხდით ზომები მივიღო...

დედოფალი. ზაუტანლობა ყოველთვის თავხედონასთან არის ხოლმე შეერთებული.

მეფე. ზიმეორებთ რომ თქვენ გარეგნაბა გატყუებთ...

დედოფალი. შენ ენაზე მუდამ ტყუილი გაკერია.

მეფე. ხომ ჰებდამ თქვენ რა რიგად მაჯავრებთ და მე უველა ამას ვითმენ.

მეფე. მაშ თქვენ გინდათ მართალი გაიგოთ? მური დამიგდეთ: თქვენი სიყვარული ერთი ტეირთია, რომლის ტარება მე არ ძალიძის.

დედოფალი. და მომისმინე შენც: მე შენ მიყვარხარ!

მეფე. ზაჩუმდით, სენიორა. მე იმტკიცილისაც თანა მსურს წასვლა.

დედოფალი. როგორ შეგიძლიან?

მეფე. ასე მსურს.

დედოფალი. ნუ მაიძულებთ, რომ შენი უსირცხო საქციელი სუყველას გავაგებინო.

მეფე. თქვენ აქ მარტოკანი ხართ ჩემთან.

დედოფალი. დავიცირებ.

მეფე. თქვენ ყვირილზე ყურსაცარავინ გაიბერტყავს.

დედოფალი. მნახოთ! მოდით აქ! მომეშველენით!

მეფე. დაფიქრდით, აბა რასა შერებით.

დედოფალი. მს არ გინდოდა!

მეფე. ზაჩუმდი, უბედურო!

დედოფალი. უშეელეთ, დაეხმარეთ დედოფალს!

დან აღგარი. (გამოჩნდება თავის ოთახის კრებში და დედოფალს იცნობს) ზეცა! ამას რას ვხედამ აგაზაუ (იშიშელებს ხმალს და შილიპეს მივარდება).

დედოფალი. (მფარება მეფეს) ახ! ვინა ხართ თქვენ? რა გინდათ?

დაზ აღგარი. მისი სიკვდილი!

მეფე. (ხმლის ეფეს მოავლებს ხელს) საზაზლარო!

დედოფალი. მისი სიკვდილი! უნდა მოპელა? ბრა, ჯერ მომკალით მე! გამშორდით! მე ვიცნობ ამას, ამას მე ვპატიობ! დაიჩოქეთ, კაპიტანო, დაიჩოქეთ! მს ჩემი მეუღლეა, მეფე!


დაზ აღგარი. (დაიჩოქებს მეფეს წინ) მეფე!

აღდარა. (გამოდის თავის ოთახიდგან და ლამაზით ხელში კარიღორში გამოვა) დედოფალი!

(მეფე ხმლის ეფეს დადებს ხელსა და კაპიტანს აცქერდება მუქარით; დედოფალი შეშინებული იფარავს მეფეს; დონ ალეკარი რამოდენიმე მანძილზე დაბრუნდით და თვისი ხმალი დედოფალის წინ დაუგდია, ალდარა მაღლაა, შეუ კარიღორში; დონა მლიკია იმ კარებშია, საიდგანაც გაეიდა).

ს. 6 — თ — მესა.

დასასაუზაი მეორე აქტის.



რედაქტორი და გამომცემელი გ. აბაშიძე.

Типографія Меликова. სტამ. შელიქშვილისა.